# სახალხო გაზეთი

№ 174. პარასკევი, 3 დეკემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 174

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხაღალს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და გ. მეტცლ და ამ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტყვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12 ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большья Ванская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალ-კე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ტფილისის სახაზინო თეატრი

21 დეკემბერს 1910 წელს

იუბილე კ. მესხისა.

სადღესასწაულო წარმოდგენა

ბილეთები არადის გაიგზავნება. ამ თვითვე ისყიდება ქართულ თეატრის კასსაში. (4—2) თავმჯდომარე დრამ. საზოგადოებისა ნ. გ. ქართველიშვილი.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეშე ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ტელეფონი № 862. ქართული თეატრი წარმოდგენა № 31.

შაბათს, 4 დეკემბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

ნიშანი ყოფაქცევაში

დრამა 4 მოქ. ა. შვაურისა. თარგ. მოლაქიაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი, ვიქტორელი, კარგარეთელი, ე. ლეჟავა, ლოლუა ჯავახიშვილი. ბ-ნნი არადელი, ვ. გუნია, გვარამძე, მამფორია, მდივანი, მგალობლიშვილი, გ. მატარაძე, ი. ქივიძე, შ. საფაროვი, კ. მალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ადმინისტრაცია: ქართ. დრ. საზოგადოება. (2—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი საშშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10\frac{1}{2}$—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2\frac{1}{2}$—$3\frac{1}{2}$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2\frac{1}{2}$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2\frac{1}{2}$ ს.

ხოზოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—341)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაჩეჩილაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ. 6.—504)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—28)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილაროვის სახლი, (50—170—22)

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინსკის ქუჩა N 7. თ.—180—46

კავკასიის ნამესტნიკის კანცელარია

სამსახურში და სამსახურ გარეშე მყოფ ამიერ-კავკასიის თავად-აზნაურთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ კავკასიისა და რუსეთის ზოგიერთ კადეტთა კორპუსებში 1911—12 სამოსწავლო წელს სახელმწიფო ხარჯით შვილების მიღებაზე, (1901 წ. 27 აგვისტოს უმაღლესად დამტკიცებულ დებულებით, კავკავის კადეტთა კორპუსისა და 1902 წ. 22 აპრილს უმაღლესად დამტკიცებულ დებულების თანახმად), კორპუსში ბავშვების მიღებაზე თხოვნები გუბერნატორის სახელობაზე უნდა მიიცეს არა უგვიანეს 1911 წლის 1 თებერვლისა. თხოვნასთან უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) ბავშვის მეტრიკული მოწმობა, ბ) დეპუტატთა საკრებულოს დამოწმება, რომ ბავშვი რუსეთის თავად-აზნაურთა წოდებაშია ჩარიცხული, გ) პოლიციის მოწმობა, მთხოვნელის ოჯახურ და ნივთიერ მდგომარეობაზე, სადაც დაწვრილებით ჩამოითვლება ოჯახის წევრები, აღინიშნება, თუ ოჯახის წევრები ვის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან, მათი წლოვანობა, სად და ვისის ხარჯით სწავლობენ მათი შვილები, და დაწვრილებით აღინუსხება მთხოვნელის შეძლების რაოდენობა და შემოსავალი, დ) ექიმის მოწმობა ბავშვის ჯანსაღობის და აცრისა, ე) მთხოვნელის ხელწერილი, რომ მთავრობის მოთხოვნილებისამებრ შვილი უკანვე წაიყვანოს. ამასთანავე კანცელარია განმარტავს: მოსამზადებელ კლასში მისაღებმა ბავშვმა უნდა იცოდეს: სწრაფი კითხვა, წიგნიდან გადმოწერვა, და ლოცვები, უამისოდ კორპუსში არ მიიღებიან. გარდა ამისა, მოსამზადებელ განყოფილებაში მიიღებენ მხოლოდ 9—11 წლამდე, პირველ განყ.—10—12 წ. მეორეში—11—13 წ. მესამეში—12—14 წ., მეოთხეში—13—15 წ. და სხვა. წლოვანები 10 აგვისტოთი ისაზღვრება.

რაც შეეხება სახელმწიფო ხარჯზე კადეტთა კორპუსში შესვლის მიღების თაობაზე თხოვნების მიცემას, სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურში თუ სამსახურ გარეშე მყოფთ, ეროვნების განურჩევლად, თხოვნები კავკასიის სამხედრო ოლქის ჯართა მთავარ-სარდალს უნდა მიართვან. (1—1)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრესს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9\frac{1}{2}$-დან 5 ს.-დე

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1\frac{1}{2}$—3 სათ

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ.

სარაპ—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.

ვესელოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ოოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 ნახ. საათ. 10 ნახევარ ს. ყოველ დღე.

პონდოევი—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ დღე 2—3 საათ.

ხატისოვი ნ დ.—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიჰნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათიშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—6.—28)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—278

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ე. ი. მინასიანცი

ხწამლობს შინაგან, ხაბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ მატშიეუს სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—36)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—97)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ჰიროჩნის ქ., № 9. (უ)

ბაქოში

ვექილი

მიხეილ ნასიძე

ცხოვრობს სპასკის ქუჩაზე, სახლის № 49. (10—1)

## ტფილისი, 3 დეკემბერი

**ქალაქის გამგეობის წევრის არჩევნები.** კომედია დასრულდა: ქალაქის გამგეობის წევრად ყველასაგან კარგად ცნობილი ნაფიცი ვექილი ივ. სპ. ჯაბადარი აირჩიეს. ამ არჩევანს ჩვენ კომედიად ვსახავთ ძალიან ბევრის მოსაზრებით. როდესაც, ვასილი ჩერქეზიშვილის შემდეგ, ქალაქის თავის ადგილი განთავისუფლდა, ტფილისის ქართულ-რუსულ გაზეთებში დიდი ალიაქოთი ასტყდა. გაიმართა გაუთავებელი სჯა-ბაასი როგორც ქალაქის თავის კანდიდატის, ისე სხვა საკითხების გამო. ხშირად ისეთს საკითხებსაც იხილავდნენ, რომელთაც მჭიდრო კავშირი არა ჰქონდათ ქალაქის თავის კანდიდატურის დასახელებასთან. მაშინ ჩვენც გამოვსთქვით ჩვენი აზრი ქალაქის ზოგიერთ საკითხისა და საქმეების შესახებ და ხაზ-გასმით აღვნიშნეთ, რომ ქალაქის გამგეობის დღევანდელი მესვეურნი ცალ-მხრივ, ნაციონალისტურ პოლიტიკას აწარმოებენ. ბ-ნ ჯაბადარის არჩევა, თქმა არ უნდა, შედეგია ამ საგაზეთო სჯა-ბაასისა. არავის ეჭვი არა ჰქონდა, რომ ქალაქის მესვეურთ აუცილებლად ქართველი კანდიდატი უნდოდათ აერჩიათ. იფიქრეს და მათი არჩევანი ბ-ნ ჯაბადარზე შეჩერდა. ჩვენ არასოდეს არა ვყოფილვართ იმის მომხრე, რომ ქალაქის გამგეობის წევრად აუცილებლად ქართველი აირჩიონ. ასეთს არჩევს არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვს. დახლართულ ეროვნულ ურთი-ერთობათა კვანძის გახსნა ამისთანა პოლიტიკით ყოვლად შეუძლებელია. გამგეობის ერთს წევრს, თუნდაც იგი თავ-გამოდებული დამცველი იყოს ეროვნულ ინტერესებისა, ვერ შეუძლიან რაიმე შესამჩნევი ცვლილება შეიტანოს ქალაქის საქმეების საერთო მიმდინარეობაში, რომლის ბედ-იღბალიც სავსებით სხვას უკავია ხელში. ქალაქის თვით-მმართველობის მესვეურნი განაგრძობენ თავის გზით სიარულს, ქართველი წევრი გამგეობისა კი იძულებული გახდება ან ბატონ-პატრონთა ნება-სურვილს დაექვემდებაროს, ან სულ თავი დაანებოს გამგეობის წევრობას. ასეთს მდგომარეობაში ჩავარდება მედგარი, სწორ-ხაზიანი ქართველი მოღვაწე ქალაქის თვით-მმართველობის გამგეობაში. განსვენებული ვასილ ჩერქეზიშვილი ფრიად პატივ-საცემი პიროვნება იყო, მაგრამ ქალაქის გამგეობაში იგი თავის დღეში ქართულ ინტერესების გამომხატველი არა ყოფილა. ეს რომ ასე არა ყოფილიყო, ქალაქის თავის მესვეურნი მას თავის დღეში მიაურავობას არ ჩააბარებდნენ. ბ-ნი ჯაბადარი კი არც მტკიცე დამცველია ქართულ ინტერესებისა. მისი პიროვნება საკმაოდ გამორკვეულია: იგი გამოურკვეველი პიროვნებაა. მისმა ხან-გრძლივმა „მოღვაწეობამ", თუ შეიძლება მოღვაწეობა ეწოდოს ბ-ნ ჯაბადარის საქმიანობას, ჩვენს თვალ-წინ გაიარა და ეჭვიც არ გვებადება, რომ ბ-ნი ჯაბადარი ისეთსავე გზით ივლის, რანაირადაც დღემდის დადიოდა. თავისუფალი სიტყვა ბ-ნ ჯაბადარს თავის დღეში არ უთქვამს, იმედია ამ თავისუფალ სიტყვას ვერც შემდეგში იტყვის. ამას მშვენივრად ამტკიცებს თვით ჯაბადარის სიტყვაც: ვეცდები საბჭოს სურვილები განვახორციელოვო. სრული ქეშმარიტებაა! ბ-ნი ჯაბადარი ყონა იქნება საბჭოს სურვილებისა. და რომ ეს სურვილები ქართველთა ინტერესებისაგან ძალიან დაშორებულია, ამაში ეჭვი არავის ეპარება.

ქართველებს გამგეობაში წევრი არა ჰყოლიათ. არც ჯაბადრის არჩევით შეემატა ქართველებს ახალი ძალა, რომელიც დარაჯად ედგება ქართულს ინტერესებს. მაგრამ ეს ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს. ჩვენთვის გაცილებით უფრო საყურადღებოა ის მოტივები, რომელითაც სარგებლობდნენ ქალაქის გამგეობის მესვეურნი, როდესაც ბ-ნ ჯაბადარს ირჩევდნენ. მათი სურვილი იყო ორი კურდღელი მოეკლათ: ქართველებიც დაეკმაყოფილებინათ და ისეთი კაციც ამოერჩიათ, რომელიც მათ პოლიტიკას კრიჭაში არ ჩაუდგებოდა. სხვ რითი უნდა აიხსნას, თუ არა იმით, რომ ბ-ნ ჯაბადარზე უკეთესი კანდიდატი ვერ აირჩიეს? სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით ვ. რცხილაძე, რომელიც გაამშავა, გაცილებით უკეთეს კანდიდატად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე უფერული, გარკვეულ ფიზიონომიას მოკლებული და ხშირად ქართულ ინტერესების პირდაპირი მოღალატე პიროვნება—ბ-ნი ჯაბადარი. მაგრამ ქალაქის მესვეურნი ნამდვილ ქართველ კანდიდატს არც დაეძებდნენ. მათ სწორედ ჯაბადარისთანა კაცი უნდოდათ, და აკი კიდეც იპოვეს!!

**სამრევლო სკოლების კანონ-პროექტი.** სახელმწიფო სათათბიროს 29 ნოემბრის სხდომაზე განხილულ იქმნა სასკოლო კანონ-პროექტის ის მუხლი, რომლითაც სამრევლო სკოლები სამინისტროს უწყებაში უნდა გადავიდეს...

ყველამ კარგად უწყის, თუ რა მნიშვნელობა აქვს პირველ-დაწყებით სასწავლებლებს სახალხო განათლების საქმეში. თუმცა რუსეთის იმპერია მაინც და მაინც არაა ღარიბი ამ გვარ ტიპის სასწავლებლებით, მაგრამ ამ ბოლო დროს სტატისტიკური ცნობები ნათლად გვიხატავენ, თუ რა სარგებლობა მოაქვთ რუსეთში არსებულ პირველ-დაწყებით სასწავლებლებს. უმეტესი ნაწილი ამ სასწავლებლებისა ვერ ასწევენ თავის პირდაპირ დანიშნულებას და ვერ აკმაყოფილებენ ხალხის სულიერ ცხოვრების ნამდვილ მოთხოვნილებათ.

ეს ითქმის საერთოდ, როგორც სამრევლო, ისე სამინისტროს პირველ-დაწყებით სკოლების შესახებ. კერძოდ კი სამრევლო სკოლები, რომელთაც ცოტა სამსახური მიუძღვის რუსეთის განათლების ისტორიაში, არამც თუ ვერ აკმაყოფილებენ ხალხის სულიერ მოთხოვნილებათ, პირიქით, აფერხებს და ნამდვილ ცოდნის გავრცელებას ხელს უშლის.

სათათბიროს 29 ნოემბრის სხდომაზე განხილული კანონ-პროექტი სამრევლო სკოლების სამინისტროს უწყებაში გადასვლის შესახებ სასურველად უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ გზით სასულიერო წოდება სამოსწავლო საბჭოების ხელ-ქვეითი ხდება.

მემარჯვენე დეპუტატთა აზრით კი, რომელნიც დასავლეთ ევროპის და კერძოდ ვენგრულ სამრევლო სკოლების ავტონომიურ უფლებებზე უთითებდნენ, ოპოზიციას უმტკიცებენ, სამრევლო სკოლების სამინისტროს ხელში გადასვლა სახალხო განათლების ცოცხალ საქმეს შეაფერხებს, უკან დასწევსო.

თუმცა მემარჯვენე დეპუტატებმა გულის წყრომით მიატოვეს დარბაზი და უარი განაცხადეს დასწრებოდნენ ამ საკითხის გადაწყვეტას, სათათბირომ მაინც დაამტკიცა კანონ პროექტი სამრევლო სკოლების სამინისტრო უწყების ხელში გადასვლის თაობაზე.

ამ გვარად სათათბიროში უკვე გადასწყდა ეს საკითხი და, თუ სახელმწიფო საბჭო წინაალმდეგი არ გახდა სათათბიროს დადგენილებისა, კანონ-პროექტი კანონად იქცევა და სამღვდელოებასაც ჩამოერთმევა ის უფლებები, რომელნიც მათ ხალხის აღზრდისა და განვითარების ბატონ-პატრონებად ხდიდნენ.

დიდი იმედების დამყარება ამ რეფორმაზე შეუძლებელია. სამინისტრო სკოლებსაც მრავალი ნაკლოვანებანი აქვს. მაგრამ ეს კანონ-პროექტი ჩვენ მაინც საყურადღებოდ მიგვაჩნია, რადგანაც სათათბირომ მისის მიღებით თავისი თავი საერო განათლების მოსარჩლედ გამოაცხადა. ოქტომბრისტებისაგან იმდენად გულ-გატეხილნი ვართ, რომ ესლა მაინც ეს ნაბიჯი მათ აუცილებლად აქტივში უნდა ჩაუწეროთ.

## დოკუმენტების მიხედვით

II

მთავრობის წარმომადგენელნი, რა თქმა უნდა, ალმაცერად უყურებდნენ ქართველ თავად-აზნაურობის ამნაირ შუამდგომლობებს. მათ არ ესმოდათ გულუბრყვილობა ამგვარ აზროვნებისა და ამიტომ ყოველთვის ეჭვი ჰქონდათ თავად-აზნაურობის გულწრფელობაში და ბრალსა სდებდენ იმაში, რაშიაც ბრალი არ

მიუძღოდა—პოლიტიკურ სეპარატიზმისადმი თანაგრძნობაში. მოიგონეთ წარსულ საუკუნის მეორე ნახევრის ამბები და დაგვერწმუნებით, რომ ეს ასე იყო. მაგრამ იმ დროინდელი სხვა დოკუმენტებიც გვიპყრავს, ეს დოკუმენტები დაამოწმებენ ჩვენს ნათქვამს.

იმავ **1885** წელში თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი საქართველოს ეგზარხოსს პავლესა სთხოვს, ძალიან დამავალებთ, თუ გამომიგზავნეთ კოპიოები უწმინდეს სინოდის იმ უკაზებისა, რომელთა მიხედვითაც შემოღებულ იქმნა ქართულ ენის სწავლა სასულიერო სასწავლებლებშიო. ეგზარხოსმა, ცოტა არ იყოს, იუკადრისა ამგვარი თხოვნა და აცნობა ქაღალდით თავადს, რომ ჩვენს გადამწერს არა სცალიან, კოპიოების გადაწერას მას ვერ დავაკისრებო. გარდა ამისა, სწერდა ეგზარხოსი, „მე არც კი ვიცი, მაქვს თუ არა ნება მოგცეთ ამგვარი საბუთებიო. არც კანონია ამის შესახებ და არც მაგალითი ყოფილა, რომლის ძალითაც მე ვალდებული ვიყო მივცე ეს ქაღალდები იმ პირს, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სასულიერო-სამოსწავლო საქმესთანაო“. **(Вѣдомство Православнаго исповѣданія. Синодальнаго члена Экзархата Грузіи, № 5194. 5 декабря, 1885 года. г. Тифлисъ. Его Сіятельству Кн. И. К Багратіонъ-Мухранскому, Г-ну Тиф. Губ. пред. Дворянства).**

ეგზარხოსმა აშკარად აგრძნობინა თავ. მუხრანსკის, რომ იგი თავის თანამდებობის კომპენტენციის ფარგალს გადასცილდა და სხვის საქმეებში ერევა. მაგრამ ეს გარემოება არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს „რომანტიკოსებზე“ და ისინი კვალინდებურად განაგრძობენ არზების და შუამდგომლობის წერასა და თხზვას. **1886** წელს ტფილისში სემინარიის საქმეების თაობაზე მოვიდა ობერ-პროკურორი პობედონოსცევი. **1885—1886** წლები უნუგეშო ხანა იყო ტფილისის სემინარიისათვის. ამის შესახებ ჩვენ სხვაგან გვქონდა უკვე ლაპარაკი. აქ უნდა ვსთქვათ, რომ თავად-აზნაურობამ თავის მოვალეობად ჩასთვალა ხმის ამოღება. ობერ-პროკურორს შუამდგომლობა მიართვა და ამ შუამდგომლობის სათავეშივე დაარწმუნა ბ. პობედონოსცევი, რომ „იგი შუამდგომლობა არ არის უადგილო ჩარევის სურვილი ქართველ თავად-აზნაურობისა საეგზარხოსო საქმეებში, არამედ მისის, თავად-აზნაურობის, საუკუნო ტრადიციის მოთხოვნილებაათ“. **(Докладная записка Тиф. Губ. Пред. Дворянства. Сентября 1886 года. Его Превосходительству Г-ну Обер-Прокурору Свят. Прав. Синода).** ეს იყო ეგზარხოსმა ტლანქად აგრძნობინა, სხვისა საქმეში ერევითო, აქ კი მაინც საუკუნოებიდან გადმოცემულ ტრადიციაზეა ლაპარაკი. იტყვით, ვაშა თავადებს, რომ გულს არ იტეხავდნენ. და თითქოს არაფერი მომხდარაო მეფე ერეკლეს დროიდამ იმავ ტერმინოლოგიით ლაპარაკობდნენ, რომელსაც ხმარობდნენ მეთვრამეტე საუკუნეში. არ ვიცი, შეიძლება სხვა გზა არა ჰქონდა თავად-აზნაურობას, სხვა ენით და კილოთი იგი კრინტსაც ვერ დასძრავდა, რასაკვირველია.

ყოველივე ეს ადვილად გასაგებია. არ არის გასაგები მხოლოდ ერთი რამ,—რა საბუთის ძალით მოელოდნენ შუამდგომლობის ავტორნი პრაქტიკულ ნაყოფს ამგვარ მოქმედებისაგან და რა მოსაზრების ძალით ეგონა, რომ ეს პოლიტიკა არის რეალური ე. ი. რეალურ შედეგის გამღები?

ობერ-პროკურორს თავად-აზნაურობამ სთხოვა ის, რასაც სთხოვდა ამ ერთის წლის წინად უმაღლესს მთავრობას. ხოლო იქ სამოსწავლო გეგმა ფართოთ იყო წამოყენებული აქ კი მარტო სასულიერო სასწავლებელთა პროგრამების შეცვლაზეა ლაპარაკი. შეცვლილი უნდა ყოფილიყო პროგრამა იმ სახით, როგორადაც თავად-აზნაურობას გარკვეული ჰქონდა უკვე ცნობილ ფართო სამოსწავლო გეგმაში. ლაპარაკი არ უნდა იმის შესახებ, რომ ყოველივე ეს უყურადღებოდ იყო დატოვებული და მთავრობა განაგრძობდა თავის პოლიტიკის განხორციელებას თავად-აზნაურთა რჩევის მოხედვით კი არა, არამედ თავის განზრახვის და გადაწყვეტილების მიხედვით. და აი ამ შუამდგომლობის ოცი წლის შემდეგ ბ. იაკობ გოგებაშვილი ამოწმებს, რომ „შიდა საქართველოში თუმცა დედაენა არ არის აღკრძალული, მაგრამ ზოგს სკოლაში ფაქტიურად გაუქმებულია, ზოგში კიდევ, თუმცა ფორმალურად არსებობს ვაი-ვაგლახით და გაჭირვებით, ისეთს ყოფაშია, რომ სულთ-მბრძოლავს მოგაგონებთო“. (რჩეული ნაწერები გვ. 505).

არავის ეგონოს, რომ ამ გვარი პოლიტიკის მიმდევარი მარტოოდენ თავად-აზნაურობა ყოფილიყოს ჩვენში. არა, ეს მიმართულება არის თითქმის მთელ ქართველ ინტელიგენციის მიმართულება მე XIX საუკუნის განმავლობაში. დიმიტრი ყიფიანის შესახებ ჩვენ სხვაგან ვრცლად გვქონდა ლაპარაკი. ახლა ვნახოთ, რას სწერდა და ამბობდა განათლებული და ყველას მიერ პატივცემული ეპისკოპოსი გაბრიელი, ავტორი ცნობილ ემპირიულ ფსიხოლოგიისა **(Основанія опытной психологіи)** მრავალ ქადაგებათა, რომელნიც ინგლისურად იყვნენ გადათარგმნილნი და სხვა. გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ ბ. იაკობ გოგებაშვილი ამბობს: „არა მგონია, რომ რომელიმე მწყემსთ-მთავრის მოქმედებას არამც თუ ჩვენში და რუსეთში, არამედ ევროპაშიაც მოეტანოს სამწყსოსათვის იმაზე უკეთესი შედეგი, რომელიც შესძლო იმერთა ერსა განსვენებულის მღვდელთ-მთავრის ოცდა-თხუთმეტის წლის თავ დადებულმა მოღვაწეობამაო“. (რჩეული ნაწერები, გვ. 331). მართლაც, შესანიშნავი ადამიანი იყო განსვენებული ეპისკოპოსი. მაგრამ, განა დიმიტრი ყიფიანი კი არ იყო ამგვარადვე შესანიშნავი პიროვნება ხოლო ამშესანიშნავ ადამიანთა პოლიტიკური აზროვნება ჩვენ არ მიგვაჩნია შეუცდომელ და საღ-აზროვნებად. ხელში გვიპყრავს ფართო საზოგადოებისათვის უცნობი წერილი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომელიც გამოწვეული იყო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბ. იანოვსკის მოღვაწეობით ჩვენს ქვეყანაში. **(Отвѣтъ Имеретинскаго Епископа Гавріила на донесеніе Попечителя Кавк. Учеб. Округа Яновскаго (Кирила Петровича).** დოკუმენტი საგულისხმოა.

„ვერ დავმალავ იმ მწუხარებას, ამბობს გაბრიელ ეპისკოპოსი, რომელიც განვიცადე, წავიკითხე რა ბ. მზრუნველის მოხსენება. იგი მოხსენება უკიდურესობამდე შეურაცხყოფელია არა მარტო ქართველ სამღვდელოებისათვის, არამედ მთელ ქართველ ხალხისათვის. სამღვდელოებას აბრალებენ იმას, ვითომ მას არ ძალუძს პირველ დაწყებითი სახალხო განათლების საქმის გაძღოლა. აბრალებენ აგრეთვე პოლიტიკურ არა-კეთილსაიმედობაში. ამ უკანასკნელ ბრალდებას სდებენ მთელ ქართველ ხალხსაც, ახალგაზდობაში საქართველოს დამოუკიდებლობის აზრი ტრიალებსო. ერთი სიტყვით, ბ. მზრუნველის მოხსენება დაბეზღების შთაბეჭდილებას ახდენსო“.

განსვენებულ ეპისკოპოსის პასუხი ამ ბრალდების გაბათილებასა და დარღვევაზე იყო მიმართული. ფრიად საპატიო საქმე უკისრია გაბრიელ ეპისკოპოსს, რადგან, მართლაც და, უსამართლო ბრალდებას სდებდა ბ. მზრუნველი როგორც სამღვდელოებას, ისე ქართველ ხალხს. ეჭვს გარეშეა, რომ სამღვდელოება არც ისე მოუმზადებელი იყო, რომ არ შეეძლო პირველ-დაწყებითი სამრევლო სკოლების ხელმძღვანელობა. ხოლო უსაფუძვლო იყო სეპარატიზმის შესახებ ლაპარაკიც. რადგან მართლაც არავითარი ამ ხასიათის მოძრაობა და აზრის მიდრეკილება არ არსებობდა არც სამღვდელოებაში, არც თავად აზნაურობაში, არც ინტელიგენციის წრეებში და მით ნაკლებად ხალხში. მაგრამ ამ მხრივ კი არ წარმოადგენს ინტერესს გაბრიელის წერილი; იგი საყურადღებოა მხოლოდ იმითი, თუ როგორ, რა საშუალებით და რა საბუთებით ცდილობს ეპისკოპოსი ბრალდებას უარ-ყოფას და გაბათილებას.

საქართველოს ეგზარხოსის პავლეს აზრით (1884 წ.) სამრევლო სკოლებში რუსულ ენას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. ამ საკითხის გამო დაეკითხა ეგზარხოსი გაბრიელ ეპისკოპოსს. „მე ამ აზრს არ დავეთანხმე, ამბობს იგი თავის პასუხში იანოვსკისადმი, რადგან ვიცოდი სურვილი და მისწრაფება ქართველ ხალხისა. ეგზარხოსს ვუპასუხე, რომ ურუსულოდ შეუძლებელია სკოლა საქართველოში, რადგან ამგვარ სკოლაში ხალხი თავის შვილებს არ მიაბარებსო“. ამის გამო ბ. გოგებაშვილი სწერდა: „ნეტარ-ხსენებული მღვდელთ მთავარი თავის მოქმედებაში არასოდეს არ ხელმძღვანელობდა მთავრობის შეხედულებით, არასოდეს არ ცდილობდა ეამებინა თავის უფროსებისათვის და მუდმივ გულწრფელად და დამოუკიდებლივ იქცეოდა. ამიტომ ეს პასუხიც უნდა ჩაითვალოს გულწრფელადო“. (რჩეული ნაწერები, 472). გაბრიელ ეპისკოპოსს მართლაც გულ წრფელად უყვარდა ხალხი, მაგრამ მისი პასუხი ენის შესახებ როგორღაც ჭკუაში არ მოგვდის. რუსულ ენის სწავლის წინააღმდეგი, საზოგადოთ, შეიძლება არც კი იყოთ, ხოლო მომხრე იყოთ იმისი, რომ პირველ დაწყებითი სამრევლო სკოლები, სადაც სწავლის კურსი ასეთი ხანმოკლეა, ურუსულოდ მოეწყოს, რადგან ამგვარი წესი უფრო შეეფერება განათლების ინტერესებს. ის აზრი კი, ვითომ ხალხი არ გაგზავნის ამგვარ სკოლაში თავის შვილებს, საბუთს მოკლებულია. მაგრამ როდესაც ქართველი ადამიანი ვისმეს სიყვარულს უცხადებს, განა შეუძლია ზომა დაიცვას? არასოდეს არ შეუძლია.

აი მეორე მაგალითიც გაბრიელ ეპისკოპოსის წერილიდან. მზრუნველი, სხვათა შორის, ბრალსა სდებდა ქართველ სამღვდელოებას, ცდილობს ქართულ ენის გავრცელებას აფხაზეთში და წირვა ლოცვასაც ქართულად ასრულებსო. „მართალი არ არის, ამბობს გაბრიელ ეპისკოპოსი, აფხაზის თუ ქართველ სამღვდელოებას არა ჰქონდა სკოლები. სკოლები იყო ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებისა. ამ სკოლებში სამღვთო სჯულს და ყველა საგნებს რუსულად გადიოდნენ. მასწავლებელიც რუსი იყო. რაც შეეხება ღვთის მსახურებას, განაგრძობს ეპისკოპოსი, უნდა ვაღვიარო, რომ მართლაც თითქოს უცნაური და საეჭვო რამ არის პირველის შეხედვით ის გარემოება, რომ იგი ღვთის მსახურება არა-სლავიანურად იყო მოწყობილი (სიტყვა სიტყვით, **нужно сознаться, что съ перваго взгляда можетъ показаться страннымъ и даже подозрительнымъ, что оно совершалось и нынѣ совершается въ Абхазіи не по славянски**). მაგრამ საქმე ის არის, რომ სამღვდელოებას „რუსულის უცოდინარობის გამო არ შეეძლო სლავიანურად ეწირათ. რუსები კი ვერსად ვიშოვნეთ. ვინც მოვიყვანეთ ჰავს ვერ გაუძლო. „ძლივს ვიშოვნეთ ერთი სემინარიელი ვლადიმერის გუბერნიიდამ, კარგი მრევლიც მივაბარე, მაგრამ ის წლის მეტი არ დადგა და რუსეთში გაიქცა. ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებასაც ვსთხოვე სლავიანური სამღვთო წიგნები, რადგან რამდენიმე მღვდელს შეუსწავლიდი სლავიანური წესს, მაგრამ უსახსრობისა გამო უარი შემითვალესო“.

ამგვარად, გაბრიელ ეპისკოპოსი ადასტურებს სლავიანურ წირვა-ლოცვის გავრცელების საჭიროებას აფხაზეთშიო. იგი ბოდიშსაც იხდის, უცნაურ და საეჭვო საქმედ არ მიიღოთ ის, რომ დღემდე არ მოხერხდა სლავიანურ ენის შემოღება აფხაზეთის ეკლესიებშიო. დიმიტრი ყიფიანიც ერთგულობით გამსჭვალული ადამიანი იყო, საერო კაციც იყო, მაგრამ არასოდეს არ გამოუჩენია ასეთი გადაჭარბებული გულმოდგინეობა სლავიანურ ენის შემოღების საქმეში აფხაზეთში, სადაც 15 საუკუნის განმავლობაში ქართული ეკლესია და ქართული კულტურა იყო. ჩვენ ძალად არავის არაფერს არ ვახვევთ. თუ თვითონ აფხაზებს სურთ სლავიანური წირვა, სხვა ლაპარაკია. მაგრამ ეს სურვილია რუსიფიკაციას პოლიტიკისა. რატომ მოეპყრა ასეთის თავმდაბლობით ამ პოლიტიკას გაბრიელ ეპისკოპოსი, ეს არის საკვირველი და გაუგებარიც.

გაბრიელ ეპისკოპოსი ამ შეუფერებელ საშუალებით ცდილობს აღადგინოს სახელი ქართველ სამღვდელოებისა და თავიდამ აიცდინოს არაკეთილსაიმედობის ბრალდება. მაგრამ იმისი პასუხი სხვაფრივადაც საინტერესოა. იგი გამოდის საერო განათლების მოწინააღმდეგედ და სამრევლო სკოლების მცველად. ეს ის დრო იყო, როდესაც საერო განათლებას რუსეთში დიდი საფრთხე მოელოდა, რადგან განათლების საქმე თითქმის სავსებით სინოდს დაექვემდებარა. დღესაც სჩანს ნაყოფი ამ სისტემისა. დღეს სათათბიროში არის წამოყენებული იგივე საკითხი. დიდი ბრძოლა დასჭირდათ მემარცხენეებს სკოლის განთავისუფლებისათვის რეაქციონურ გავლენისაგან. დღეს ძლივს მოახერხეს და სათათბიროს გადაწყვეტილების ძალით განათლების საქმე (სამრევლო სკოლებიც) საერობო განათლების მინისტრის ხელში გადასცეს. და ამ საკითხის შესახებ განათლებული ადამიანი, ემპირიულ ფსიხოლოგიის ავტორი ამბობს: „სოფისტები, ლიბერალები და საზოგადოთ ყველანი, ვინც დაშორდნენ სარწმუნოებას და ვისაც უნდოდა ხალხში ნახევრად—წარმართულ განათლების გავრცელე-

# ფიქრები

(ეუძღვნი ა. შანშიაშვილს).

I

ჰო, ისევ ის ზღვა, ფაფარ-აყრილი,
კვლავ ის სტიქია, კვლავ ის ტალღები,
და კვლავ ზღვაურის სისინი, კროლვა
დაკოდილ გულის ფიქრად წამლები.
მოგორავს ზვირთი, ზვირთი ძლიერი,
ნაპირებს ჰკოცნის, ესაუბრება,
მენავე ნიჩბებ-მომარჯვებული
აღთქმულ კიდისკენ გაიყურება.
შორს, იქ, კამკამა ცის დასავალი
ზღვისა წიაღში ჩამოწოლილა,
მოსჩანს ედემის გრძნეული მხარე,
ოცნებამ იქით გადაფრენილა.
მის გარშემო-კი ცხოვრების გემი
შეუსვენებლად ბრუნავს, ტრიალებს
და გულის წარმტაც, საამსოფლიო
სიცოცხლის ალამს დააფრიალებს.
რა-რიგ ტურფაა ის, მე არ ვიცი,
მაგრამ ოცნებით წარტყუებული,
ვეტრფი, შევხარი ალტაცებითა,
მისკენ მიმიწევს მღელვარე სული.
ალბად იქ არის მარადისობა,
ალბად სამოთხე არის ის მხარე,
აღარ იციან იქაურ არსთა
რა არის ტანჯვა და სიმწუხარე.
ალბად თვით ეს ზღვა საცდელი გზაა
ბრძოლით და ღელვით იქ მისავალი,
ალბად წესია კაცობრიობამ
მით მოიხადოს თავისი ვალი!
ოჰ, თუ ასეა, გულს ჩამიკარ, წამიყვა ტალღავ,
არ ძალმიძს, არა, სულის სწრაფვა რომ დავიგუბო,
დამახლოვე... შვებას ვიგრძნობ, ოდეს მას ვნახავ,
მე მიყვარს ღელვა... მძაგს სიკვდილი, არ მინდა გუბო!
მეც ზღვის შვილი ვარ, ჩემო კარგო, ცხოვრების ზღვისა,
შენი მშობელი მეც მირწევდა, მინანავებდა,
თან ძლევის ღმერთი, მოციქული მიწის და ცისა
დიდების მცნებას მასწავლიდა, მიქადაგებდა.
მას შემდეგ დავგმე, პტყრად ვაქციე მონის ხუნდები,
მომავალს ვეტრფი, მწარე წარსულს არ ვუბრუნდები,
ციური გრძნობით აღგზნებულმა მოვმართე ჩანგი
და ლაღად დავმღერ, შორს გაისმის იმედის ჰანგი.
აღარ მრწამს გლოვა... ვეღარ მაკრთობს მერმისის შიში,
სიცოცხლის დღენი დიდხანს, დიდხანს არ დაითვლება,
არარა კვდება, მხოლოდ არსთა, სახე იცვლება,
მით-კი ბუნება არრას ჰკარგავს; აღარ იკლება.
ოჰ, შორს, შორს ჩემგან, შავ-სიკვდილის ფილოსოფიავ,
არა ვარ ჭია, მიწის ჭია, ულონო, მხდალი,
რომ ავ მერმისის აღსასრულის ავ მოლოდინით
ხვედრის წინაშე სალოდვავად ვიწყო ფართხალი.
დე, მის მიმდევართ, მისთა მსახურთ ქამსა მწუხრისას
გლოვით, ქვითინით, მწუხარებით აკვნესონ ქნარი,
მე-კი ჰიმნს ვმღერი საამქვეყნოს, ჰიმნს სიცოცხლისას,
ისმინე ტალღავ, ეს სიმღერა არს ცისკრის ზარი.

II

ოჰ, რა-რიგ მინდა ზეცად აფრენა,
დიაჰ, აფრენა, ღმერთთან კამთი,
რომ მოუპოვო ობოლ სულს ლხენა,
ავხსნა, განვმარტო ცხოვრების ხლართი!
მსურს, მსურს ავცილდე მთვარე-ვარსკვლავებს,
მაღლით დავზვერო მთელი სამყარო,
ეგების ვპოვო მაშინ სამოთხე,
უკვდავებისა დიადი წყარო!
მე მას დავეძებ... ჰო, ჩემო ტალღავ,
იქითკენ ილტვის გული და გრძნობა,
ნუ თუ სიკვდილის წამლეკავს ფიქრი,
ნუ თუ არ სუფევს მარადისობა?!
არ მჯერა!.. გესმის? მსოფლიოს სიმი
ახალ ჰიმნს ჰგალობს, სულ ახალ ჰანგებს.
და ცათ მიგვაფრენს... მალე ვიხილავთ
უცხო ქვეყანას, უცხო ციაგებს.
და... ვინ იცის, ვინ! ადამის მოდგმა
რომ სრულად აღარ დაიპყრობს ცასა,
ზურგს არ შეაქცევს სამარადისოდ
ძალ-გამოფიტულ დედამიწასა!
ან ვინ გაზომა დიად მსოფლიოს
ძალთა ძალობა, გზა არსებობის,
ვინ, ვინ სცნო, ნეტა როდის გაწყდება
მოძრავი ძაფი, მათის ერთობის?!
ოჰ, არა ტალღავ, არ უსმინო ამ ამოცანას,
გულს ნუ გაანდობ, ჩემო კარგო, სიკვდილის ნანას,
მძინარ სტიქიას დაუძახე, გაუკრთე ძილი,
დეე, ბრძოლით იგრძნოს სიცოცხლისა გამოძახილი.
იქით, ჰო, იქით გაექანე მძლავრი ქუხილით,
დიე, მეც შენთან არ ვიცოდე აწ დასავალი,
სადაც მერანი ოცნებისა გარდაიჩეხოს
მკვდრეთით აღმდგენი იქვე დარჩეს ამოსავალი.
ჩუ! ვგონებ კიდეც შორს, იქ, ზეცად ჩამოჰკრეს ზარი,
ყური დაუგდე,—ეს ბუნება გვესაუბრება,
დახე, უცხო ხმა გვიპასუხებს, ხმა ამო-წყნარი.
„—მარადისია, არასოდეს აღარ გაჰქრება!“
ნუ, თუ?... მაგრამ ეჰ, რა კითხვაა ნეტა საჭირო,
მარადისობა თვით ბუნების კარგად ცნობაა.
თვით გრგვინვა-მეხი, ქვეყნის არსთა თავზარ-დამცემი
სიცოცხლის მთავარ მიზეზია, სრული გრძნობაა!
და ჩვენც ხომ ტალღავ, ამ ბუნების ღვიძლი შვილი ვართ,
ჩვენც თვით ისა, ყოველ ნაწილთ მატარებელი,
თუმც ჯერ ვერ ვიცნობთ, მაგრამ აწ კი ვეტრფით... მივუ-
უკვე ზეცაზე გადვიტანეთ ბრძოლისა ველი. | დივართ...
ჩვენის ოცნების მერანიც, ხომ სულ წინ მიჰქროლავს,
სულ წინ მიჰქროდავს, რომ გზად შესდგეს აღარ მოხდება,
და თუ ცხოვრების ქარიშხალი ჩაჰფლავს, ჩაჰქოლავს
კვლავ იქ აღსდგება გულის კვნესა სადაც აღმოხდება!

**ნ. ჩხიკვაძე.**

# სდუმდა უკვდავი მსაჯული...

(ნოველლა).

ქერუბიმთა საყვირის ცემა შესწყდა.. და სამარისებულმა მდუმარებამ ჩანთქა ცის კიდენი. გულსაკლავი და აუტანელი იყო დუმილი. უფალის მეინახედ მჯდომარე, პორფირ მოსხმული შეიშმუშნა უკვდავი მსაჯული, საშინელ ლოდინით დააწვა მას სიჩუმე. რომ ამ აუტანელ მდგომარეობიდან გამოსულიყო, დაიძახა ხმითა დიდითა, იმ ხმით, რომელიც ერთხელ გოლგოთამ ისმინა და ცივმა ქედრონის მთებმა ჩაიკლეს გულში.

—რად არ მოგყავთ? მოიყვანეთ აქ სული ადამიანისა!

... პასუხი არ იყო. კითხვას დუმილი იმეორებდა აუტანელი მდუმარება სუფევდა.

უკვდავ მსაჯულისა ხმამ მყუდროება დაარღვია, მან კითხვა გაიმეორა.

ბა, ხშირად ახერხებდნენ სამღვდელოების ხელიდამ ამ საქმის ჩამორთმევას, მაგრამ აი დღევანდელ კურთხეულ მეფობის დროს განათლება საბოლოოდ გადაეცა სამღვდელოების ხელშიაო". გასაკვირველი არ არის, რომ სასულიერო წოდების წარმომადგენელი სამრევლო სკოლების მცველად გამოდის, გასაკვირველი არ არის მით უმეტეს, რომ აქ ამ სკოლების წინააღმდეგ გაილაშქრა მზრუნველმა იმიტომ, რომ ეშინოდა სამღვდელოების გავლენისა ნორჩ თაობაზე პოლიტიკურის მხრივ. მაგრამ საკვირველი და გაუგებარი რჩება ის, რომ განათებულ ეპისკოპოსს საერო სკოლის ღირსება და მნიშვნელობა არ ესმის და დაცინვით სოფისტებს და ლიბერალებს უწოდებს იმათ, ვინც კონფესიონალურ გავლენისაგან სცდილობდა სკოლის განთავისუფლებას. დღეს ამ საბუთებს რუსეთის შავრაზმელები ხმარობენ და განა სავაგლახო არ არის, რომ საუკეთესო ქართველი მამულიშვილი გატაცებული წრფელის აზრით ეროვნების სამსახურისა, აქაც გადაჭარბებულ გულმოდგინეობას იჩენს. თქმა არ უნდა, რომ თავი და თავი სატკივარი ეპისკოპოსისა „სოფისტების" და ლიბერალების მისწრაფებათა გმობა კი არ იყო, არამედ მძიმე ბრალდების თავიდამ აცილება ვითომ ქართველი ხალხი პოლიტიკურად სანდო არ ყოფილიყოს. ეს აზრი ყოველის საშუალებით უნდა იყოს აღმოფხვრილი. ყოველი საშუალება კარგია ამისათვის. განსაკუთრებით კარგია იმგვარი საშუალება, რომელიც თითქოს მთავრობის მრწამსიც არის და ამასთან ჩვენთვისაც სასარგებლოა. მთავრობა მაგალითად, სასულიერო განათლებას უფრო ენდობა. ჩვენებური მამულიშვილიც ემღაუქება ამ განათლებას, რადგან ჩვენთვის, ენის შერჩენის მხრივს, ეს განათლება თითქოს ხელსაყრელია. ყოველივე ეს ასეა, მაგრამ რატომ უნდა იყოს ამის გულისათვის დაწიხლული ლიბერალიზმის და დემოკრატიზმის საუკეთესო მისწრაფებანი!

ეხლა დაუგდეთ ყური, რას ამბობს ეპისკოპოსი თვით ბრალდების და იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელსაც მოახდენს იგი ქართველ ხალხზე. „თუ ქართველ ხალხს უნდობლობით მოეპყრობიან და სამღვდელოებას სასულიერო სკოლებსაც ვერ ანდობენ, ამითი გამოიწვევენ „ტუზემცებში" მწუხარების და დაუმსახურებულ შეურაცყოფის გრძნობას. მწუხარება მძიმე იქნება, რადგან ყველანი გაიგებენ, რომ ამაში ისახება უფროსების უნდობლობა „ტუზემცებისადმი" (**въ этомъ окажется недовѣріе начальства къ туземцамъ**), რაც იმათის მხრივ სრულიად არ არის დამსახურებულიო. გარდა ამისა, ამ ბრალდების წამოყენება იმას ნიშნავს, რომ იმპერიის ყველა სასწავლებლების კარები დაიკეტება ქართველებისთვის, რადგან აბა რისთვის უნდა ისწავლონ „ტუზემცებმა" თუ კი იმათ შესახებ იფიქრებენ. სწავლობენ მხოლოდ იმიტომ, რომ მერე თავიანთ აღმზრდელთა წინააღმდეგ გაილაშქრონო. და აბა ვიღა ანდობს ამ ხალხს ან რამე საქმეს ან დავალებას. მაგრამ განა შეეფერება ამგვარი ზომების მიღება დიდებულ მართლმადიდებელ სამეფოსაო...

ამ სტრიქონების წაკითხვის დროს თვალწინ ძველი კულტურით ამაყი, ხოლო გასაჭირში ჩავარდნილი ერი კი არ გიდგებათ, არამედ რომელიმე შავკანიანი ტომის ველური ქვეყანა. და მოლაპარაკეთაც ღირსებით შემკობილი, უძველეს ეკლესიის წარმომადგენელი კი არ გელანდებათ, არამედ ხსენებულ შავკანიან ტომის სარდალი, რომელიც ჰგოდებს და მოთქვამს იმის გამო, რომ მზე დაბნელდება და სიცოცხლე სამალხავით გამწარდება თუ გამარჯვებული უფროსები ეჭვს შეიტანენ შავკანიანების სიყვარულში. დიაღ, ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს ეს უზომო თითქმის ღირსებას მოკლებული თავმდაბლობა. და ვისთვის და რისთვის იყო საჭირო ასეთი დამცირება?! დაუმტკიცეს ვისმეს სიმართლე, დააჯერეს ვინმე თავის სამართლიანობაში? არა. აი ამ რამდენიმე წლის წინად სამოსწავლო ოლქის რევიზორმა დაათვალიერა საქართველოს სკოლები. „ინახულა ბათუმის სასწავლებელი, გვიამბობს იაკობ გოგებაშვილი, და მიჰმართა ერთს რვა წლის ბავშვს: შენ ვინა ხარ?—ქართველი, სთქვა პასუხად ბავშვმა.—ქართველი კი არა, რუსი ხარ,—რუსი ვარ-თქო. ბავშვი გაშტერდა და სდუმდა, რევიზორმა იფიქრა, აქ ნამდვილად სეპარატისტობაა დამალულიო, გაწყრა, გაგულისდა, წაავლო ხელი ბავშვს, აჯღრევდა და გაჯავრებით გაიძახოდა თავისას. შეშინებულმა ბავშვმა ძლივს წამოილუღლუღა: რუ...სი...ვარ. ხმა მაღლა სთქვი, რომ რუსი ხარ,—გაიძახოდა რევიზორი. შემკრთალმა ბავშმა კარგა ხანს ვერ მოახერხა ხმის ამოღება ბოლოს, მოიკრიბა ძალ-ღონე და შეჰყვირა: რუსი ვარო, და თან ქვითინი წასკდაო". (რჩეული ნაწერები, 510) მას ვისთვის და რისთვის იყო საჭირო დამცირება?!

**არჩილ ჯორჯაძე.**

# სახელმწიფო სათათბირო

**თ—დი ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს. შენობის აგების დებულებათა კანონპროექტს პირველ ნაწილს იხილავენ. **კროპოტოვი** შრომის ჯგუფის სახელით შესწორება შეაქვს,—სახელმწიფო გლეხთა მიწებზე სახლების აგებაც ამავე დებულებას დაექვემდებაროს. პროექტის მეორე ნაწილს იხილავენ, რომლითაც განმარტებულია, წესები სამოსახლო ადგილების შენობის ასაგებად იჯარით გაცემის პირობები. პირველი მუხლი მიწის პატრონს ავალებს, რომ იჯარით გაცემაც მიწაზე აგებული შენობა, ვადის გასვლის მერე, მათ საკუთრებად რჩებოდეს, ხოლო სახლის ამგებს შენობის ღირებულება უნდა აუნაზღაუროს, თუ არ დასთანხმდება, იჯარის ვადა გაუგრძელოს, მოურიგებლობის დროს კი სასამართლომ გაარჩიოს საქმე, ხოლო იჯარის ვადა 50 წელს არ ასცილდეს, უკანასკნელ ხელშეკრულების გათავებიდან.

კამათს იწვევს სასამართლოს მიერ ვადის განსაზღვრის საკითხი.

**დმიტიუკოვი** 50 წლ. მაგიერ 30 წლის ვადის მომხრეა.

პირველსა და მეორე მუხლს კომისიის რედაქციით ღებულობენ; ყველა შესწორებანი უარყოფილია. დანარჩენ მუხლებსაც მცირე კამათის შემდეგ კომისიის რედაქციით ღებულობენ.

წინადადება შეაქვთ, კრება ცოტა ხნით შესწყვიტონ.

კრების განახლების შემდეგ დეპუტატთა ერთს ჯგუფს წინადადება შეაქვს კანონ-პროექტი სასამართლო საქმეთა კომისიას გადასცენ.

**ბუჟემოვი, ბულატი და მომხსენებელი ჩერნიცკი** ამ წინადადების წინააღმდეგნი არიან.

კენჭის ყრის შემდეგ ეს პროექტი კომისიას გარდაეცა.

უკამათოდ იღებენ კანონ პროექტს მდაბალ ჯარის-კაცთა რაზმებში ვადა გათავებული მეორე ხარისხოვანი ხარისხის შემოღებაზე, სამხედრო ტოპოგრაფიის აფიცერთა ჯამაგირების მომატებაზე, და სამსახურში მყოფ აფიცერთა დამატებით პენსიის ვადის გაგრძელებაზე.

**შინგარევი** სადამოჟნო—გადასახადების კანონ-პროექტის თაობაზე კამათის დროს ბაჟების შემოღებას თხოულობს არა მარტო სამეურნეო მანქანებზე, არამედ მათ ნაწილებზედაც.

**ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი** არ ეთანხმება იმათ, ვინც ამტკიცებს, ვითომც რუსეთში სოფლის მეურნეობისათვის ბევრი რამე კეთდებოდეს. მისის აზრით, რაც უფრო მეტი გაკეთდება სოფლის მეურნეობაში, მით უკეთესია, როგორც მეურნეობისათვის, ისე რუსეთისათვის (ტაში უკრავენ). სამშობლოს მანქანათა დამზადებას ორგვარია და შეიძლება ხელს ვუწყობდეთ; უცხოეთის მანქანათა გაძვირებით და ადგილობრივ დამზადებულ მანქანათა გაიაფებით. მთავრობა მეორე გზას ადგია და (ტაში უკრავენ), მანქანის ნაწილებზე ბაჟის დაკლებით, ქარხნების მოწყობის ხელის შეწყობა—გაადვილებით და სესხის მიცემითა ეცდება მის განხორციელებას (ტაში უკრავენ).

კანონ-პროექტს ღებულობენ და სასურველად მიაჩნიათ,—მთავრობამ არა უგვიანეს 1911 წ. 1 მაისისა წარმოადგინოს სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივ მანქანათა-განვითარების კანონ-პროექტი.

შემდეგ სათათბირომ დაადგინა: „საჭიროდ მიგვაჩნია, რათა მთავრობამ დაუყოვნებლივ იზრუნოს და ზომები მიიღოს, შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის საალებ-მიცემო ვემთა განსავითარებლად, რის შემდეგაც სათათბირო მორიგ საკითხების განხილვას უბრუნდება".

**პროტოპოპოვი.** სახელმწიფო საბჭოდან დაბრუნებულ კანონ-პროექტის მოხსენებას აკეთებს. ეს პროექტი ადგილობრივ გლეხთა დაწესებულებათათვის საკანცელარიო და სამეურნეო დამატებითს თანხის მიცემას ეხება.

კანონ-პროექტი სათათბიროს მიერ მიღებული იყო, ხოლო იმ მუხლის გამოკლებით, რომლის ძალითაც საგუბერნიო საკრებულოსა და სამაზრო კრებისათვის 1910 წ. საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯების დასაფარავად 25 ათას მანეთს თხოულობდა, ხოლო 1911 წლისათვის კი—500 ათას მან.

მომხსენებელი სთხოვს სათათბიროს, ეს პროექტი დამატებიანად დაამტკიცონ.

**გრაფი უვაროვი და შინგარევი** აცხადებენ, სახელმწიფო სათათბირო მე-49 მუხლის აზრს არ იცავს, როდესაც ამ კანონ-პროექტს უკან აბრუნებსო. (მარცხნივ ტაშის ცემა).

კანონ-პროექტს კომისიის რედაქციით ღებულობენ.

წინადადება შეაქვთ, საღამოს სხდომებს ორი სხდომა მოუმატოთო. ეს წინადადება უარჰყვეს.

**საღამოს სხდომაზე გუჩკოვი თავმჯდომარეობს.** პოლიციის აგენტ ხოროლსკის უკანონო მოქმედებაზე კამათობენ.

**კუზნეცოვის** მოხსენებით პროფესიონალურ კავშირთა ზრდა შეგნებულ მუშათა კლასსა ჰქმნის. მშრომელ პროლეტარიატს ოქტომბრისტთა მონური სულის კვეთება არ ეთვისება და მთავრობაც სწორედ ამისათვის უცხადებს ომს პროფესიონალურ კავშირებს. ამ ბრძოლის ველზე მთავრობა ლეგალურის ზომებით ლელოს ვერ გაიტანს, ამისათვის პროვოკაციას მიჰმართავს ხოლმე. მთავრობას ჰგონია, უსოციალდემოკრატიოდ კაპიტალიზმი შეჰქმნას, კარგია ისეთი ცეცხლი ჰქონდეს ადამიანს, რომელიც არა სწვავს, მაგრამ ეს შეუძლებელია. პროლეტარიატი უსოციალ-დემოკრატიოდ წარმოუდგენელია. (სოც. დემოკრატ. ტაშს უკრავენ).

**ლიახნიცკი** ამბობს: რატომ მთავრობა ხოროლსკის საქმის თაობაზე განმარტებას არ გვაძლევს, ეს საქმე ხომ დღესავით ნათელია. თუ ხოროლსკის საქციელი პროვოკატორული არ არის, ყოველ შემთხვევაში მისი საქციელი ცენტრალურ მთავრობის სულისკვეთების შესაფერია.

**მაკლაკოვის** აზრით რევოლუციასა და მთავრობას მხოლოდ ძალა სწამდათ და ქვეყანას კი ივიწყებდნენ, თუ იგინი გუშინდლამდე იბრძოდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ ქვეყანა არც ერთს მიემხრო, არც—მეორეს, რადგანაც ესმოდა, რომ ვერც რევოლუციისა და ვერც მთავრობის გამარჯვება მას ახალის ანარქიიდან ვერ უზრუნველჰყოფენ და ქვეყანა მხოლოდ იმას გაჰყვებოდა, ვინც ამ ორ მებრძოლს გააზავებდა სახელმწიფოს ახალ წყობილების დასამყარებლად. სათათბირომ ტერორი რომ დაჰგმო, იგი სამართლიანად მოიქცა, ხოლო თუ ეხლა მმართველობის უწმაწურ ზომებს არ დაჰგმობს, სათათბიროსაც არ გაჰყვება კაცი.

ორატორი აცხადებს, პროექტს ხმას მივცემ იმის დასადასტურებლად, რომ მთავრობასაც არ ეპატიება ყოველისფერი, მისი ძლიერება იმაში კი არაა, რომ კანონზე ძლიერი იყოს, არამედ იმაში, რომ მას ძალა შესწევდეს მშვიდობიანად ემორჩილებოდეს კანონს. (ოპოზიცია ტაშს უკრავს).

**მარკოვი მეორე** აცხადებს, მემარჯვენენიც მხარს დაუჭერენ პროექტს მაგრამ მაკლაკოვისებურ მოსაზრებით კი არა, არამედ იმისთვის რომ აღნიშნული ფაქტები არავის არ უარუყვია. რუსეთის ხალხი, არც ძველ ბიუროკრატიას გაჰყვება, არც—ახალ რევოლუციას, არც სათათბიროს. ხალხი მისდევდა, მისდევს და გაჰყვება თავის კანონიერ იმპერატორს, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელს (მარჯვნივ ტაშის ცემა).

კენჭის ყრით შეკითხვას ერთხმად იღებენ. კადეტებს ასეთი ფორმულა შეაქვთ: „ვგმობთ მთავრობის აგენტთა ყოველგვარ პროვოკაციას იმისდა განურჩევლად, ეს აგენტის პირად ინტერესებისათვისაა მოხდენილი, თუ სახელმწიფო ინტერესთა უხეირო გაგებით. სათათბირო მორიგ საქმეებზე გადადის".

ფორმულას 127 ხმით 119 წინააღმდეგ ღებულობენ.

ხმები: „კარი", „კარი".

**თავმჯდომარე.** ვინც ფორმულას ემხრობა, მარცხნივ გავა, ვინც არა—მარჯვნივ.

**გეგეჭკორი** ადგილიდან. ვინც პროვოკაციის მომხრეა მარჯვნივ, პროვოკატორები მარჯვნივ!

**თავმჯდომარე** გეგეჭკორს წესიერებას აგონებს.

ფორმულა 132 ხმით 124 წინააღმდეგ მიღებულია.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 დეკემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**ბერლინი.** რეიხსტაგი. კანცლერის კანცელარიის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს კანცლერმა სთქვა, მოაბიტი მომხდარ ამბების გამო სოციალ-დემოკრატია არის ზნეობრივი პასუხის მგებელიო. ერთმა სოციალ-დემოკრატმა დაიძახა: „კანცლერი სცრუობს" რეიხსტაგის პრეზიდენტი წესიერებას თხოულობს. (მარჯვნივ „ვაშა"). სოციალისტი ფიშერი მუშტით იმუქრება.

**ბოლმეი.** გერმანიის კრონპრინცი მოვიდა.

**ლონდონი.** ღამის 1 საათი. არჩეულ იქმნა 199 ლიბერალი, 240 უნიონისტი, 36 მუშათა პარტიისა, 59 რედმონდისტი, 8 ობრიენისტი. ლიბერალებმა შეიძინეს 19 ადგილი, უნიონისტებმა 23, მუშათა პარტიამ—4.

**ვაშინგტონი.** ხმები დადის, მილიონერი კარნეჯი აპირებს 10 მილიონი დოლარი გადასდოს საერთაშორისო მშვიდობიანობის ორგანიზაციისთვის?

სერრო-პრიეტოს მახლობლად, ჩიგუა-გუას მახლობლად მექსიკის მთავრობის ჯარს მეამბოხეებთან შეტაკება მოუხდათ. პირველმა დაჰკარგა 150 კაცი (მოკლული და დაჭრილი) მეორემ—70. დატყვევებულდაჭრილნი ბევრია.

**ლონდონი.** ნიუპერტში ჩერჩილმა განაცხადა, ირლანდიელნი თანხმდებიან კანონ-მდებლობაში განსაზღვრულ უფლებებს და მეგობრობა და შეთანხმება სურთო.

**რიო-დე-ჟანეირო.** მეამბოხენი სამხედრო გემებიდან ნაპირზე გამოსვლეს. ქალაქში თავმოყრილია 12.000 ჯარის კაცი. პოლიცია პრესისთვის სასტიკი ცენზურა შემოიღო.

**პარიზი.** „მატენ"-ის სიტყვით გერმანიის კანცლერის სიტყვამ მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკურ სფერებში.

**ბერლინი.** რეიხსტაგში ნაციონალ-ლიბერალთა მეთაურმა ბასსერმანმა განაცხადა: გერმანიისა და რუსეთის დამოკიდულება არ გამოკეთდა საქმეში სოციალ-დემოკრატების ჩარევის გამო, რომელნიც ზრდილობიანად არ მიეგებნენ გერმანიაში უავგუსტოეს ოჯახობით სტუმრად მოსულ ხელმწიფეს; სოციალ-დემოკრატების საქციელი და გაზეთ „ფორვარტს"-ის გამოლაშქრება წრეს გადასულია და მოწმობს ამ პარტიის მოუხეშავობასა, ხამობასა და სიბეცეს. გასაკვირი აღარ არის, რომ რუსეთის პრესამ მოიხსხია გერმანელნი ისეთ ერად, რომელსაც არ ესმის მოვა[illegible]მართ მიღებისა. სიტყვას ალტაცებით და „მართალია"-ს ძახილით მიეგებნენ. ს.-დემოკრატები ჩუმად იყვნენ.

**ლონდონი.** ნაშუადღევის 5 საათამდე არჩეულია 220 ლიბერალი, 351 უნიონისტი, 38 მუშათა პარტიისა, 62 რედმონდისტი, 8 ობრიენტისა. ლიბერალებმა მოიგეს 19 ხმა, უნიონისტებმა—24 მუშათა პარტიამ 4. პარტიათა დამოკიდულება ახლა ისეთია, როგორის პალატის დათხოვნამდე იყო.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** ადგილობრივ თვითმართველობის სახელმწიფო სათათბიროს კომისიამ სცნო სასურველად პოლონეთის სახელმწიფოს და საერობო დაწესებულებაში შემოღებულ იქმნას თვითმართველობა.

15 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ იქმნა 65 სახელმწიფო კანონ-პროექტი, მინისტრებმა უკან წაიღეს 9 კანონ-მდებლობითი წინადადება და 10 შეკითხვა. სათათბიროს ამ საანგარიშო დროს სათათბიროს 27 სხდომა ჰქონია. დასრულდა სკოლის საკითხი, სამიც გადაიდო: კომისიებს საერთო კრებაზე შეუტანია 44 მოხსენება. კომისიის განსახილველად 1 დეკემბრისთვის დანიშნულია 339 კანონ-პროექტი.

რობერტ ორლიანელის სიკვდილის გამო ხელმწიფის სასახლე სამგლოვიარო ძაძით არის შემოსილი.

სრულიად რუსეთის ჰაეროკლუბის საზოგადოებამ გადასდო 40,000 მანეთი, საფრანგეთის სამი ჰაეროპლანის შესაკეთად.

„რუსკოე ბოგატსტვოს" ნოემბრის ნომერი დაიჭირეს. რედაქტორი კოროლენკო პასუხის გებაში მისცეს.

საოლქო სასამართლომ „ნოვაია რუსის" რედაქტორს სამითვით დაპატიმრება მიუსაჯა. ჰბრალდებოდა გაზეთის საშუალებით კოსტრომის საგუბერნიო სამართველოს სოვეტნიკ ტოლმაჩევის ცილის წამება.

**არხანგელსკი.** სახელმწიფო სათათბირომ გადასდო 300 მანეთი რომანოვების სამასი წლის მეფობის აღსანიშნავად.

**პეტერბურგი.** ვარშავის გზაზე მობრძანდა დიდი მთავარი მიხეილ მიხეილის ძე.

**ასტრახანი.** ბისკიზის სასწავლებელში 17—30 ნოემბრამდე შავი ჭირით ავად გახდა 10 ყირგიზი, მოკვდა 9. ავადმყოფობამ თავი იჩინა ბიმანის სასწავლებელშიაც.

**სევასტოპოლი.** დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე მეუღლით და შვილებით და აგრეთვე საბერძნეთის მემკვიდრე ქრისტეფორე ჩრდილოეთისკენ გაემგზავრნენ.

# ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

➜ **გიორგი დეკანოზიშვილის დაკრძალვა.** 1 დეკემბერს, დილის 9 საათზე, ტფილისში მოასვენეს საფრანგეთში გარდაცვლილ ქართველ მოღვაწის გიორგი დეკანოზიშვილის გვამი. რკინის გზის სადგურზე მხოლოდ განსვენებულის ნათესავნი იყვნენ. მათის გადაწყვეტილების თანახმად, ნაცნობთა და პატივისმცემელთ გვამის შოსვენების დრო არ ემცნოთ. ამავ დღეს განსვენებულის გვამი კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე დაკრძალეს. აუარებელი ნაცნობნი, მეგობარი და პატივისმცემელი განსვენებულისა დიდად გულნატკენნი დარჩნენ, რომ უკანასკნელად ველარ გამოეთხოვენ განსვენებულ მოღვაწეს.

➜ **ფრენა.** განჯიდან ტფილისში ვასილიევის გადმოფრენამ ყველა გააკვირვა. ავიატორს აუარებელი მისალოცი დეპეშა მოსდის. მიიღო აგრეთვე ბლერიოსგან, რომელიც, სხვათა შორის, აცნობებს, ერთს ჩემს საფრენს მანქანას შენ გიგზავნი სახსოვრადაო. მომავალ კვირას

---

მაშინ წინ წარმოსდგა სიკვდილის ანგელოსი და წყნარის, ვით მწუხრის ნიავი, ხმით დაიწყო:

—უფალო, ვისი გასამართლებისა ჟერია ახლა ის არაა ადამიანისა სული და მეშინია მე მისი აქ მოყვანა.

უფალმა ბრძანა შემოეყვანათ.

ორ ქერუბიმთ შემოიყვანეს სული. სიკვდილის ანგელოსი უკან მოჰყვებოდა გასამართლებულთ შორის არ ყოფილა არც ერთი სული ასეთი საშინელი, როგორც ის იყო. მის თვალებში ღელავდა ზღვა სევდისა, მის უძირო თვალებში იდგა ოკეანე ნაღველსა, მხოლოდ უკვდავ მსაჯულს შეეძლო მისთვის თვალი გაესწორებინა; უსაზღვრო საყვედური და ზიზღი გიმოიხატებოდა მის მიბნედილი თვალებში.

— უფალო, ხმის კანკალით დაიწყო სულმა, მე ვიცი ჯოჯოხეთი მელის, მაგრამ გთხოვ, მომისმინო, ცოტა ხნით მაინც შეიკავე რისხვა, რადგან დასჯის ჟამი ყოველთვის გექნება. უფალო, შენ არ გაგრჯი. ჩემი ცხოვრების მატიანეს თვითონვე წაგიკითხავ.

ცოდვილი ვარ, უფალო, ცოდვილი, მაგრამ ჩემ ცოდვაში შენც გიდევს ბრალი უფალო, რად გააჩინე ადამიანი უბედურებაში და თუ გააჩინე, მაშინ რად მიეცა ლტოლვა შვენიერებისადმი. ძილში და ცხადად მესმოდა შენი ხმა „ილტვოდეთ სოფლის ცნებისაგან, ნუ ყვებით ვნებასო", მაგრამ მე ჩემდა უნებურად შემიყვარდა არსება, რომელიც შენ შენის ღვთიური სახის ხატებად შეჰქმენი, რად არ დამეხმარე მაშინ უფალო, როცა მისი თვალები შორს შეძახოდნენ, შორს ოკეანეს გადაღმა, ჟამის მსვლელობის იქით; რა ჩემი ბრალია მე არ შემეძლო ცეცხლის გენია ჩამექრო, გულში გრიგალივით რომ ტრიალებდა. მაშინ უძლური იყო ჩემი ნება, სჩანს არ ვყოფილვარ „სრული, ვით მამა ჩემი". არ მიდევს ბრალი მას, რომ შესწირავდი ლოცვას. უფალო, ცრემლებით, რომ ვასველებდით მის მთრთოლვარე ტანს, თუმცა შენ კი გვიახარ: „არ იყოს შენდა ღმერთნი ჩემსა გარეშეო"; არც იმაში მიდევს ბრალი, რომ, როცა მან მიღალატა და ჩემგან შორს წავიდა, რომ გულში ცეცხლი ჯოჯოხეთური ვერ ჩავაქრე მოვნახე და მოვჰკალი.

უფალო! ყოველთვის მესმოდა შენი ხმა „მოველით ჩემდა ტვირთ მძიმენო და დამაშვრალნო და მე განგისვენოთ თქვენო", მაგრამ მე ვცოცხლობდი, სიცოცხლე მწყუროდა ჩემ სისხლს კი ფოცხვერივით ეწაფებოდენ... ყველამ დამიბრიყვა.. რადგან სუსტი და ღარიბი ვიყავ.

.... და აღიმართა მაშინ შურის მაძიებელი ხელი ჩემი. ძილს მიკრთობდა დაღვრილი სისხლი, მაგრამ არ შემეძლო არ დამეღვარა, უფალო; ბაბილონის გოდოლი ავაშენე ცოდვებისა, ჩემგან დაღვრილი სისხლის ნიაღვარი მოსკდა.

ვერ განვიკითხე მთხოვარი, რადგან არაფერი მქონდა,

მიყვარდა და სიყვარულმა გამოთხარა უფსკრული, არვინ შემბრალებია, თუცა სიყვარულის ცეცხლში ვიწოდი, ვით სალამანდრა. მაგრამ შენ არა გვიანდერძე ლტოლვა მშვენიერებისადმი?!. უფალო, ცოდვილი ვარ, დამსაჯე!

ანგელოზები შიშით თრთოდენ, მდუმარებდა უკვდავი მსაჯული, გაქვავებული იდგა ტანჯული სული და მსჯავრს მოელოდა...

... უკვდავი მსაჯული გადაეხვია მას და მის თვალთაგან ლმობიერების ცრემლი მოსკდა.

დუმილმა მოიცვა ცის კიდენი და უკვდავმა მეზარემ ჯოჯოხეთი საშუალამისას ჩამოკრა ზარებს... **ტ. ტაბიძე.**

ვასილიევი დიდუბის საჯირითო მოედანზე მგზავრებით გაფრინდება. ავიატორს განზრახვა აქვს, საფრენის მანქანით ტფილისიდან კავკასიის ქედი. და გადაიაროს კავკავში მიფრინდეს.

◆ **პანაშვიდი.** 27 ნოემბერს, სოფ. სალოლაშნის ღვთისმშობლის ეკლესიაში, მღვდლის კონსტანტინე დეკანოზიშვილის მიერ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის მოღვაწის გიორგი გაბრიელის ძის დეკანოზიშვილის სულის მოსახსენებლად, პანაშვიდს დაესწრნენ თავ. სარდიონ ამირეჯიბის ოჯახობა და მრავალი გლეხ-კაცობა.

◆ **ნ. ჟორდანიას დაპატიმრება.** როგორც ვწერდით, ლანჩხუთში ამას წინად დაპატიმრეს პირველ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფი ნოე ჟორდანია. დაპატიმრებული ბათომის ჟანდარმერიისთვის გადაუციათ. აბრალებენ სახელმწიფო დანაშაულის ჩადენას.

◆ **უხვი შეწირულება.** ძმებმა გიორგი და ალექსანდრე რომანოსის-ძე მრევლიშვილებმა 5,000 მან. შესწირეს საქართველოს საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოებას. ფული შეტანილ იქნება სასოფლო-სამეურნეო ბანკში და ვიდრე 10,000 მან. არ გახდება, ხელუხლებელი დარჩება შემდეგ კი ამ ფულის სარგებლით უნდა გამოიცეს წიგნები განსვენებულ ექიმ სოლომან იოსების ძის მრევლიშვილის სახელობაზე.

◆ **ტფ. ტრამვაის საქმეები.** ქალაქის მთავარ კონტროლიორის წინადადების თანახმად, ქალაქის გამგეობამ ბელგიის უსახელო საზოგადოებას მოსთხოვა: საზოგადოების წესდება, ანგარიშები (ფრანგულად) 1883 წლიდან დაწყებული 1910 წლამდე და იმ ანგარიშების პირი, რომელნიც ტფ. სახაზინო პალატას წარედგინა 1904 წლიდან 1910 წლამდე.

◆ **არმავირ-თუაფსის რკინის გზა.** ამ გზაზე მატარებელთა მოძრაობის დაწყება განზრახულია ამ თვის პირველ რიცხვებიდან.

◆ **მინდვრის თაგვი.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ სხვა და სხვა დაწესებულებასა, ამხანაგობას და თავის კორესპონდენტებს თხოვნით მიმართა, გვაცნობეთ, რომელ ადგილებშია გაჩენილი მინდვრის თაგვი, ან რა ზარალი მოუტანა მცხოვრებთაო.

◆ **ქართული წარმოდგენები.** ხვალ შაბათს, წარმოდგენილ იქნება ხელმეორედ „ნიშანი ყოფა-ქცევაში“ ოთხ მოქმედებიანი დრამა შვეიერისა. პიესა საუცხოვოდ მიდის ქართულ სცენაზე და, იმედია, საზოგადოებაც ბლომად დაესწრება.

მეორე დღეს, კვირას წარმოდგენილი იქნება გუცკოვის უკვდავი ტრაგედია „ურიელ აკოსტა“, რომელშიაც აკოსტას როლს შეასრულებს ვლ. ალექ.-მესხიშვილი; დანარჩენი როლები განაწილებულია ვ. გუნიასა, ვ. შალიკაშვილსა, ზარდალიშვილსა, მდივანსა და სხვათა შორის.

◆ **ახალი სათეატრო ჟურნალი.** ტფ. გუბერნატორმა ნება დართო თავ. ნ. მ. ლორთქიფანიძეს, გამოსცეს ტფილისში ქართულად კვირეული ჟურნალი „ცხოვრება და ხელოვნება“.

◆ **მადათოვის კუნძული.** როგორც ვიცით, ქალაქის თვითმართველობამ გადასწყვიტა, მადათოვის კუნძულზე სასეირნო ბაღი გააშენოს. გუშინ ქალაქის გამგეობა შეეკითხა კუნძულის ზოგიერთ მესაკუთრეთ რა პირობით დაგვითმობთ მიწასაო.

◆ 1 დეკემბერს მაძებარ პოლიციის აგენტებმა ტფილისში შეიპყრეს ალექსი საბას ძე ზირაქიშვილი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

◆ 1 დეკემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 4 უპასპორტო.

◆ გურჯაანში მცხოვრებმა ძმათა ასკარა და მურდახან დალიკ ოღლებმა მანტაშისტებიდან მიიღეს მუქარის წერილი, სთხოვენ სამას მანეთს.

◆ როგორც გვატყობინებენ, 6 დეკემბერს ქართულს თეატრში წარმოდგენილ იქნება ცნობილი პიესა „მედეა“ ქ-ნი ჩირგაძისა და ცაცა ამირეჯიბის მონაწილეობით.

—

**შეცდომის გასწორება.** ჩვენის გაზეთის გუშინდელ ნომერში კორექტორული შეცდომა შეგვეპარა. ეწერა: ქართულ თეატრში გამართულ საღამო—მეჯლისში მონაწილეობას იღებდა ქ-ნი ნინო ჩხეიძე. უნდა იყოს „ქ-ნი ნინო დავითაშვილი“.

## ხმა ბაქოდან

უსაფუძვლო სამუდარავი „საქმის“ მოამბისა. ფულის კრიზისი და მისი მიზეზები. ნობელი, როტშილდი და კომპ. უმუშევრება და სიძვირე ცხოვრებისა. ქართული სკოლა და ქართული ენა, ქალთა საზოგადოება.

გაზეთ „საქმის“ 45-ე ნომერში დაიბეჭდა „ბაქოს რამე-რუმბეები“.

სწორედ ამ მოამბეზე ითქმის: „რა უთქვამს, რა მოუჩმახავსო“. მართალია, ქართველი ხალხი ამბობს: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა-გულსაო“, მაგრამ ისიც ხომ იმავე ერის ნათქვამია, რომ „სინდისიც კაი საქონელიაო“!

ეს ახირებული მოამბე მოუთხრობს „საქმის“ მკითხველებს, ვითომც ბაქოს ფილიალური განყოფილება ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა განგებ საიდუმლოებით ჰმოსავს თავის მოქმედებას. სარგებლობს შემთხვევით ბ-ნი მოამბე და გამგეობას ასეთს დარიგებას აძლევს; „საჭიროა მეტი წევრების მიზიდვა და ეს მოხდება მხოლოდ მაშინ (რა მოხდება? წევრების მიზიდვა მოხდება? კაი ქართულია, თქვენმა მზემ!), როცა განყოფილების მოქმედება **საიდუმლოებით არ იქნება მოცული** და თვითეული მისგან გადადგმული ნაბიჯი ყველასათვის აშკარა გახდება“.

ამისთანა სიცრუე სწორე მოგახსენოთ; იშვიათია. ჩვენი საზოგადოების მოქმედება დაიწყო 1909 წლის პირველ თებერვლიდან. იმავე წელს საზოგადოების გამგეობამ დაბეჭდა და დაარიგა ვრცელი ანგარიში თავისის ხან-მოკლე მოქმედებისა. ანგარიში 32 გვერდს შეიცავს და ვრცელს ბროშიურას შეადგენს ანგარიში წევრებს დაურიგდა და მისი მიღება ყოველ ქართველს აქაურს ქართულს სკოლაში დღესაც შეუძლიან.

ნუ თუ ასეთს საჯარო მოქმედებას ჰქვიან „საიდუმლოებით მოცული“? მეორე ვინც „სახალხო გაზეთში“ ჩემი წერილები წაიკითხა („ხმა ბაქოდან“) ის დამეთანხმება, რომ ჩვენი საზოგადოების ყოველი ნაბიჯი საჯ-როდ და საქვეყნოდ აღინიშნების. ყოველი წვლილი გამგეობისა ყოველი სიტყვა გაზეთის ფურცლებზე გადადის. არ მეგულება სხვა კიდევ ისეთი საზოგადოება, რომელიც ასე არ ერიდებოდეს საქვეყნოდ გამოფენას თავის ნაშრომ-ნაღვაწისას.

ნუ თუ ამას ჰქვიან „საიდუმლოებით მოცვა“? აშკარაა, რომ იგი, ახირებული კორესპონდენტი, არც ქართულ გაზეთებს კითხულობს, არც მისს დღეში ჩვენს სკოლაში გაუვლია და ჩვენს კრებებსაც არასოდეს არ დასწრებია ან რა გვაქვს ჩვენ სასაიდუმლო?

ვფიქრობ, რომ „საქმე“ ეხლა მაინც მიხვდება, რა ნდობის ღირსია მისი ბაქოელი მოამბე.

⁂

საშინელ ფულის კრიზისს განიცდის ამ ჟამად მაზუთის ქალაქი. ის ბედნიერი დრო წავიდა, როდესაც ბაქოში ფულებით კოჰაობდნენ და თეთრ აბაზიანებს ჩიტებს ესროდნენ. ბაქოს ფულიანობა ნავთის წარმოების პირდაპირი შედეგი იყო. დღეს ეს წარმოება ძრიელ შემოკლდა, რაიცა გამოიწვია ერთის მხრივ ნავთის კლებამ ნიადაგში და მეორე მხრივ მაზანდის დაცემამ. წვრილი წარმოება ამ ორმა მიზეზმა ერთიანად დასცა და ნავთის ბაზარზე ორიოდე მსხვილი მწარმოებელი გაბატონა ნობელი, როტშილდი, საზოგადოება „მაზუთი“ და სხვა. წარმოების დაცემას უმუშევრობა მოჰყვა. ამ პირობებთან ერთად ყოველ-დღიურ არსებობის პირობები უფრო და უფრო გამწვავდა. ბინა და სანოვაგე, მაგალითად აქ უფრო მეტად ფასობს ვიდრე პეტერბურგსა და ვარშავაში, ქალაქის შუაგულ ნაწილში თვეში ხუთ თუმანზე ნაკლებ, ერთ ცარიელ ოთახსაც, ვერ დაიქირავებთ. საერთო კრიზისი უფრო აქაურ ქართველებისათვისაა საგრძნობელი, როგორც შემოხიზნულ და შრომის გამყიდავ ელემენტისთვის.

ამ გარემოებას საქართველოში ყურადღებას არ აქცევენ და დღესაც სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი ძველებურად გვესტუმრებიან ხოლმე დახმარების მისაღებად, მათ არა სჯერათ, რომ საზოგადოების ქირა დიდს კრიზისს განიცდის. აი მაგალითებიც. ამ ჟამად აქ ბძანდება ნ. ერისთავი. მას სურდა გაემართა ერთი საღამო (გამართლება ზეინაბისა) ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ, რის გამოც მიჰმართა ადგილობრივ საზოგადოების გამგეობას და დახმარება სთხოვა. გამგეობა იძულებული იყო უარი განეცხადებინა.

⁂

ჩვენი საზოგადოებრივობის თვალსაჩინო გამომხატველი დღეს ჩვენი სკოლაა. მას დავსტრფით, მას დავხარით და მისთვის გადავდებთ ხოლმე ვაივაგლახით გადანარჩუნებულ გროშებს. ამ დღეებში ეს სკოლა სახალხო სკოლების ინსპექტორმა კაპტოლოვმა დაათვალიერა და სკოლის ჩინებულის მოწყობილებით აღტაცებაში მოვიდა. სხვათა შორის უთხრა მასწავლებლებს: „ვხედავ თქვენი საზოგადოება ცდილა, საუკეთესოდ მოეწყო სკოლა და ამ ცდას შესაფერი ნაყოფი მოჰყოლია. ყველაფერი ხელთა გაქვთ: ჩინებული „პარტები“, ნათელი და ფართე კლასები, დიდ-ძალი სურათები თვალსაჩინო სწავლისთვის. ეხლა თქვენს ხელთ არის თქვენს საზოგადოებას დაუმტკიცოთ, რომ თქვენც ღირსეული მასწავლებლები ხართ და ღირსეულად შეასრულებთ საზოგადოების მონდობილობას“.

ეს დარიგება ფრიად საგულისხმო და დროს შესაფერი იყო. მართლაც და დიდი დანაშაული იქმნება მასწავლებლების მხრივ, რომ ესოდენი შრომა საზოგადოებას არ დაუფასონ და გაუქარწყლონ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი სამწუხარო ინციდენტი. ინსპექტორი იყო მეორე განყოფილებაში, სადაც ასწავლის ბ—ს ქალი, გაკვეთილები გათავდა. მასწავლებელმა ალოცა ბავშვები რუსულად და ის იყო ითხოვდა საშინაოდ, რომ ინსპექტორმა იკითხა;

— ქართულად კი არ იციან ლოცვებიო?

აღმოჩნდა, რომ არ იციან.

— როგორ დავიჯერო, ნუ თუ „მამაო ჩვენო“ მაინც არ იციანო? აღმოჩნდა, რომ არც „მამაო ჩვენო“ იციან.

გაკვირვებას მიეცა ბ. კაპტოლოვი და საბუთიანიც იყო მისი განცვიფრება.

მიზეზი ამისა ის გახლავთ, ცომ ბ—ს ქალს, რომელსაც ცხრა კლასი დაუსრულებია და ჟენევა-პარიზშიაც განსწავლულა, ქართული არ ეხერხება. რაგვარად ასწავლის კაცი სხვას იმას, რაც თითონ არ იცის.

ასეთმა ინციდენტებმა აიძულა გამგეობა მომავალში ახალი მასწავლებელი მიეღო, მხოლოდ გამოცდისა და სანიმუშო გაკვეთილების მიცემის შემდეგ. ეს დადგენილება დღეს განხორციელებულია და ვიმედოვნებთ, რომ მომავლისთვის საქმეს გამოვასწორებთ.

⁂

მიკვირს და გამკვირვებია, ღმერთმანი: რა გახდა ეს სამშობლო ენა, რომ მისი ცოდნა ჩვენს ქალებს ასე ეძნელებათ! აქ უფრო უნდა მუშაობდეს დაუდევრობა ხასიათის ის მავნებელი თვისება, რომელსაც რუსები „ბეზლაბერშჩინ“-ას ეძახიან, ვიდრე თვით საგნის სიძნელე.

რას გვიკეთებს ბაქოს „ქალთა საზოგადოება“? აი სამუშაო სარბიელი მისთვის. შეასწავლონ დედა-ენა და ასწავლონ მოზარდ ქალებს. ან როგორ არ იწვებიან სირცხვილით, რომ თავიანთ წრეში ვერ იპოვნიან ხოლმე ქალს, რომელსაც შეეძლოს უბრალო სალამი უძღვნას ქართულად რომელსამე საზოგადო მოღვაწეს.

ასეთი დღე განსაცხდელისა დაადგათ მათ ეფ. მესხისა და ნინო გამრეკელის გამოსათხოვარ საღამოზე. საჩუქარი კარგი მიართვეს, გულიც კეთილშობილურის გრძნობით ალსავსე ჰქონდათ, მგრამ... იგი გრძნობა მათს გულშივე დარჩა და მშობლიურ ენაზე ვერ ჰპოვა სახსარი გამოთქმისა, და გამოფენისა.

ვაი, ჩვენს თავს, თუ მართალია გრ. ორბელიანის ნათქვამი:

„რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს,—
წაეცხოს ჩირქი
ტაძარსა წმიდასა“!

არა და არა! ენა არ წამხდარა. ხოლო არ ვსწავლობთ მას.

**მიხეილ ნახიძე.**

## პატარა ფელეტონი

## ქორწინება

საზრალო „ახალ რეჩისას“

მაყრები გროვდებიანო,
ფაცა-ფუცია, მზადება,
მსახურნი ეზოს ჰგვიანო.
სულყველა ნაცნობ-მოყვრებში
ბარათებს დაგზავნიანო,
შიკრიკსა დაავლებენ
— საქმე არ დააგვიანო!
ხაჩატუროვსაც აუწყე,
მობრძანდი ჩვენო სვიანო.
ლევან, ნაგურსკიც მოგვიყვათ,
თუმც სუფრას ავიშლიანო.
კაპიტანს ქებით ეტყვიან:
მარჯვედ, ვაჟკაცო, ფხიანო,
„ვპეჩატლენიე“ დასწერე,
მომსვლელნი იკითხვიანო.
იქეთ ლაქია—ბიჭები,
ღვინოსა გადმოღვრიანო,
სტუმარსა ნაბლალოჩინარს
კოწია მოუსვიანო.
გიგო, ერასტი, ყანჩელი
გრძელ-გრძელ ყანწებით სმიანო,
დავლურსაც ჩამოუვლიან,
მალაყზე გადადიანო.
რუტკოვსკი სწერავს მეთაურს,
მიტომაც მოდის გვიანო.
გიორგი პატარძალია,
გოთუას მეფე ჰქვიანო.
ფუთ-ნახევარი ქაღალდი
მზითვადა აულიანო.
ლანძღვისა გუდა—ჰუსეინ
ბოლოში მოიგდიანო.
სტრატინოვი ჰყავთ მეჯვარედ,
კავკაზი შეაქიანო,
გადაგვარებულ ქართველთა
რუსულად სიტყვა სთქვიანო.
თუმცა უფლისა წყალობით
შიგ არაფერი ჰყრიანო,
სამშობლოს სამსახურია,
ღირსებად ჩაუთვლიანო.
„კარონა“ აბაშელიძე
ლექსებსა გამოთქმიანო.
მეფე-დედოფალს სიამით,
შვების ცრემლები სდიანო,
ყელით-ყელს გადაჭდობილნი
ერთმანეთს ჩაჰკოცნიანო.
ახლად მობილის გაზრდასა
შემოქმედს ევედრიანო.
უფალო, შენა სწყალობდე,
მეფე არ დაზიანო,
მუშტი თუ მისი ბედია
არ ჩქარა... ცვიან... გვიანო!

**ტლინკაძე.**

## განცხადებანი

### დოქტ. ნავასარდიანისა

უდღველ დღე, კვირების გარდა. დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.
**ბ. გ. აგაბაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. გ. ვეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ვ. ყიფიანის დრამა

### სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

◀ მშობიარეთათვის ▶

### თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., ბაზების ინსტიტ. პირდაპირ.
მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.
მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრადა მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6 — 4დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—26)

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

### მოსავალი

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**
თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.
რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

მოითხოვეთ ბუნებრივი კახური ღვინოები ფირმისა

### ●●● გრანდ-კახეთია ●●●

მუა ბაზაზარი, სახლი 13.
ფასები: **ბოთლი 20—50 კ.**, ვედრობით **2 მან. 40 კ.-დან 6 მ.-მდე მიტანით.**
ღვინის საწყობთან არსებობს საუცხოვო სამზარეულო ევროპიულს და კავკასიურ საჭმელებისა.
(20—240—3) პატივისცემით **ნ. გ. ჩაგუნავა და ს. სამადაშვილი.**

ფოტოგრაფიული და საპირფარეშო მაღაზია

### ო. სოტირიადისა

გადავიდა კიროჩნი ქუჩაზე, კაზაკოვის სახლში, აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების პირდაპირ, მადერის სასტუმროს გვერდით № 18. დიდძალი ფოტოგრაფიული ქაღალდები ყველა ქარხნების. ეს არის ახლა მივიღეთ აგრეთვე ფირფიტები „პობედისა“, კოდაკისა, გაუფფისა და ლიუმერისა. ორპირი ფირფიტები 8×8 ბუნდოვან ფარნებისთვის, აგრეთვე 9×12 და 4,5×10,7; დიდძალი ფოტოგრაფიული ბლანკები, პასპორტები და სხვ. საპირფარეშო და კოსმეტიკა რუსეთის და უცხოეთის საუკეთესო ფაბრიკებისა. ფასი შეუვაჭრებლად. (3—248—3)

„შრომაპნის“ ამხ. გამოცემა
გამოვიდა გასასყიდად

I

### 1911 წლის კედლის კალენდარი

ქართველთათვის, კათოლიკეთათვის, სომეხთათვის მაჰმადიანთათვის და ებრაელებისათვის. კალენდარის უკანა გვერდზედ მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. ფასი კალენდრისა 40 კ.

II

### სახალხო კალენდარი 1911 წ.

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
კალენდარში ჩართულია მრავალი სურათები და ქარტა საქართველოსი. ფასი 20 კ.
კალენდრები იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში და კავკასიის რკინის გზის შკაფებში.
ვისაც ჰსურს გასასყიდად გამოიწეროს, მან უნდა მიჰმართოს შემდეგის ადრესით Тифлисъ, Т-ва „Сорапанъ“. (18—244—3)

### მომგებიან ბილეთების გაყიდვა

სახელმწიფო სესხით
ნაწილ-ნაწილ განაღდებით ვადით უგეოდ. ბილეთის მთელი ფასი ნაღდდება ყოველ თვიურის 6 მან. შეტანით.
1-ლ შეტანის შემდეგ მყიდველი მონაწილეა მოგებათა მახლობელ ტირაჟში.
პირველი შესატანი 6 მან. შეიძლება გამოიგზავნოს ფოსტის მარკებითაც.
საბანკო სახლი ВАРШАВА, БРАТСКАЯ 18. **ლ. ვ. ლანდაუ და ამხ.** სადეპეშო ადრესი: „Варшава Ландаубанкъ“
Мотцль 89563. (5—235—4)



### ნაძვის ხეზე!... არას დროს არა ყოფილა!

მამაკაცთა საათები, მოზრდილი, სამის სქელის საზურავით, ახალის ფასონისა, ბრტყელი ამერიკულ ოქროსი, მშვენიერის ჩუქურთმით, „Prima-America“—მარკიანი, სპეციალისტიც ვერ გამოარჩევს ნამდვილ 56 პრობიან ოქროსაგან. სილამაზის გარდა, ეს საათები ნამდვილ შვეიცარიის კონსტრუქციისაა, ბევრის მენდლით დაჯილდოვებული. მოსაპართი ყურთანა აქვს და 40 საათში ერთხელ იქოქება „Remontoir“. სწორედ იგლიან, რაზედაც 6 წლით წერილობით თავდებობა ეძლევა მყიდველს.

**ფასი 12 მ. მაგიერ—3 მ. 75 კ. ორი ცალი—7 მ. 20 კ.**

ასეთივე უსაზურავო საათები—2 მან. 75 კ., ორი ცალი 3 მ. 75 კ. საქალო საზურავიანი საათები—6 მან. 50 კ.

ჩვენი საათების *ასავრცელებლად ყოველ საათს უფასოდ თან ვატანთ: 1, იმავე ოქროდან ნაკეთებ ძეწკვს, 2, 84 პრობიან ვერცხლის ბრელოკს (ან კომპასს), 3 საათისთვის ზამშის ბუდეს. ფოსტით იგზავნება ფასდადებით, უბეოდ.
მიმართეთ: Варшава, складъ часовъ Т-ва МИЛЯНО I-ое почтовое отд. 17.
გასაგზავნი ფული 1—4 საათისთვის—50 კ.
**შენიშვნა!** 84 პრობიანი ვერცხლის სამ საზურავიანი საათები—8 მანათად, უსაზურავო—5 მან. 50 კ.; ასეთივე ქალთათვის საზურავებიანი—6 მან. 50 კ.—მიწერ-მოწერა შეიძლება რუსულად ან გერმანულად. Мотцль, 90306. (2—242—1)

ერთად-ერთი თეგზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

### ძმ. ძეგველოვების მაღაზიას

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

### ✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

### ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ.
აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—128—46)

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ 1910 წ. 4 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, გამგეობის საკრებულოში

### საჯარო ვაჭრობაა

დანიშნული, სატივოზე ბორანის იჯარით გასაცემად.
პირობების გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე გამგეობის კანცელარიაში დილის 10—3 საათამდე (3—249—3)

სტამბა „ნ ი ს ა თ ლ ე“ რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სოსლულაშვილი.